ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 212

"20" მაისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში არსებული №1 ბინის, №8 ბინის, №10 ბინის (საკადასტრო კოდები: №01.14.15.001.300.03.03.510; №01.14.15.001.300.03.03.506; №01.14.15.001.300.03.03.010) *პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების* საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში არსებული №1 ბინის, №8 ბინის, №10 ბინის (საკადასტრო კოდები: №01.14.15.001.300.03.03.510; №01.14.15.001.300.03.03.506; №01.14.15.001.300.03.03.010) *პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების* თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 მაისის №25.777.880 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში, კორპუსი X, მე-2 სართულზე არსებული 36.10 კვ.მ. ფართობის №1 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.510), ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში, მე-5 სართულზე არსებული 36.10 კვ.მ. ფართობის №8 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.506) და ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში, მე-5 სართულზე (ნიშნული +13.20) არსებული 70.30 კვ.მ. ფართობის №10 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.010) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ჯემალ სეფიაშვილისთვის (პ/ნ. 01026000467) საკუთრებაში გადაცემაზე, *სიმბოლურ ფასად* - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე